იოსებ მეტრეველი
ნებართვების და მარეგულირებელ ორგანოებთან
ურთიერთობის მენეჯერი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის
მილსადენის კომპანია (საქართველო)
იალბუზის ქუჩა № 14
თბილისი, 0144, საქართველო
ტელ.:+995 32 259 3400
www.bpgeorgia.ge
წერილის N: **BTC/OUT/5134/22**

30 დეკემბერი, 2022 წ.

ბ-ნ გ. დუგლაძეს
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს

**საგანი: მოთხოვნა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის დროებით უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, BTC პროექტი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისჯვარი**

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დაასრულა სახელმწიფო საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაცია 2719.00 კვ.მ. მიწის ფართობზე, რომელსაც მიენიჭა ს/კ N64.29.03.745.

შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით მიიღოთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ზომები, რათა სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველო)-ს (ს/კ 204992785), 2022 წლის 4 ნოემბრის წერილში (იხ დანართი) განსაზღვრული მიზნებისათვის - ნავთობის დაღვრის შემაკავებელი ობიექტების და მილსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველყოფისათვის - საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, უზუფრუქტის უფლებით, 1-წლის ვადით (მშენებლობის პერიოდისათვის), უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს ს/კ N64.29.03.745 მიწის ნაკვეთის სრული ფართობი - 2719.00 კვ.მ.

წინამდებარე წერილში მოხსენებული ს/კ N.64.29.03.745 მიწის ნაკვეთი არ საჭიროებს მოზნობრივი დანიშნულების შეცვლას (სასოფლო-სამეურნეო არასასოფლოზე), რადგან საერთაშორისო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მშენებლობის დასრულების შემდეგ, აღნიშნული მიწის ნაკვეთი აღდგენილ იქნება პირვანდელ მდგომარეობამდე და დაუბრუნდება სახელმწიფოს.

მადლობას მოგახსენებთ დახმარებისა და თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ი. მეტრეველი

დანართი:

- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველოს) 2022 წლის 4-ნოემბრის წერილის (BTC/OUT/5115/22) ასლი.

იოსებ მეტრეველი
ნებართვების და მარეგულირებელ ორგანოებთან
ურთიერთობის მენეჯერი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის
მილსადენის კომპანია (საქართველო)
იალბუზის ქუჩა № 14
თბილისი, 0144, საქართველო
ტელ.:+995 32 259 3400
www.bpgeorgia.ge
წერილის N: **BTC/OUT/5115/22**

4 ნოემბერი, 2022წ.

ბ-ნ გ. დუგლაძეს
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს

**საგანი: მოთხოვნა მიწის ფართობებზე სახელმწიფო საკუთრების უფლების პირველად რეგისტრაციაზე, BTC პროექტი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისჯვარი**

ბატონო გიორგი,

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის (BTC) პროექტის ფარგლებში, კერძოდ, მდ. ოშორას მარჯვენა ფერდთან დაგეგმილია მოეწყოს რკინა-ბეტონის საყრდენი კედელი. კოდიანას ნავთობის დაღვრის მეორად შემაკავებელ ობიექტამდე და BTC-ის ნავთობსადენამდე მოხრეშილი მისასვლელი გზის აღდგენის მიზნებისთვის (იხ. თანდართული მოკლე ტექნიკური აღწერილობა), რამაც უნდა უზრუნველყოს ზემოთ აღნიშნული ობიექტების უსაფრთხოდ ოპერირება, შეიქმნა 2 მიწის ფართობზე (208 კვ.მ., და 2719 კვ.მ.) სახელმწიფო საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის აუცილებლობა (მოხსენიებული ტერიტორია მილსადენიდან დაშორებულია 258-მეტრით, შესაბამისად, მოხვედრილია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N365 დადგენილებით განსაზღვრულ მილსადენის უსაფრთხოების 3-ზონაში).

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განცხადებით მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წინამდებარე განცხადებაში მოხსენიებული მიწის შესაბამის ფართობებზე (208 კვ.მ., და 2719 კვ.მ.) სახელმწიფო საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის მოთხოვნით, რომლის დასრულების შემდეგ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველო) (ს/კ 204992785) განცხადებით მიმართავს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს 1-მიწის ნაკვეთის უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, 1-წლის ვადით (მშენებლობის პერიოდში), ხოლო მეორე მიწის ნაკვეთის უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 18-წლის ვადით (ექსპლუატაციის პერიოდში), ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველო)-ს სასარგებლოდ დატვირთვის მოთხოვნით.

მადლობას მოგახსენებთ დახმარებისა და თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ი. მეტრეველი

დანართი:

- 2 მიწის ფართობის საკადასტრო აზომვითი ნახაზი - 4 გვ. და 2 CD.
- შესასრულებელი სამუშაოების მოკლე ტექნიკური აღწერილობა.

**შესასრულებელი სამუშაოების მოკლე ტექნიკური აღწერილობა**

სამშენებლო უბანი მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ციხისჯვარის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ოშორასთან. აღნიშნულ მონაკვეთში მოხრეშილი გზა მიყვება მდინარის მარჯვენა ნაპირს. დროთა განმავლობაში მდინარემ გამორეცხა გზის სავალი ნაწილი, რაც საფრთხეს უქმნის არსებულ გზაზე უსაფრთხოდ გადაადგილებას.

საპროექტო ღონისძიება ითვალისწინებს რკინა/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობას, მდინარე ოშორას მარჯვენა ფერდთან. საყრდენი კედლის სიგრძე შეადგენს 83,85მ-ს.

სამუშაოს მიზანია მდინარის მარჯვენა ფერდის დაცვა ეროზიული პროცესებისგან, რაც თავის მხრივ დაიცავს მდინარის მარჯვენა ნაპირთან გამავალ გზას და უზრუნველყოფს მის უსაფრთხო ექსპლუატაციას.

რკინა/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის შემდეგ მოხდება მისასვლელი მოხრეშილი გზის აღდგენა.

რკინა/ბეტონის საყრდენი კედლის მოცულობა არის 187.5 მ3

არსებული გზის აღსადგენად ფრაქციული ღორღის მოცულობა არის 260 მ3.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 64.29.03.745**

# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

| განცხადების რეგისტრაცია | მომზადების თარიღი |
|---|---|
| **N 882022861360 - 17/11/2022 13:51:55** | **22/12/2022 14:46:26** |

## საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| ბორჯომი | სოფ. ციხისჯვარი | | |
| **64** | **29** | **03** | **745** |

**ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება
**ნაკვეთის დანიშნულება:** სასოფლო-სამეურნეო
**დაზუსტებული ფართობი:** 2719.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:

**მისამართი: მუნიციპალიტეტი ბორჯომი , სოფელი ციხისჯვარი**

## მესაკუთრის განყოფილება

**განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882022861360 , თარიღი 17/11/2022 13:51:55**
**უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/12/2022**

**უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:**
- ბრძანება N1/2-553 , დამოწმების თარიღი:17/11/2022 , სახელმწიფო

**მესაკუთრეები:**
**სახელმწიფო**

**მესაკუთრე:**
**სახელმწიფო**

**აღწერა:**

## იპოთეკა

**საგადასახადო გირავნობა:**

**რეგისტრირებული არ არის**

## ვალდებულება

**ყადაღა/აკრძალვა:**

**რეგისტრირებული არ არის**

**მოვალეთა რეესტრი:**

**რეგისტრირებული არ არის**

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge